

ქ.თბილისი

21.01.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

1. კახი ყურაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;
3. ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი;
4. რუსუდან ტყემლაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
5. ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;
6. დავით კახიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი;
7. ნანა ჭილაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
8. ნინო წერეთელი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
9. რევაზ ხოფერია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
10. დავით მახვილაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის პროცესის მართვის სამმართველოს კოორდინატორი;
11. ბექა ძამაშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის პროცესის მართვის სამმართველოს კონსულტანტი;
12. ნათია ვაჭარაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის პროცესის მართვის სამმართველოს უფროსი;



13. თამარ ლორთქიფანიძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის პროცესის მართვის სამმართველოს კოორდინატორი;
14. ჯულიეტა მუხაძე - შპს - საექთნო სკოლა - სასწავლო უნივერსიტეტ „ივერიის“ რექტორი;
15. თამარ მელიქია - შპს - საექთნო სკოლა - სასწავლო უნივერსიტეტ „ივერიის“ მოწვეული პროფესორი;
16. მარიამ გელოვანი - შპს - საექთნო სკოლა - სასწავლო უნივერსიტეტ „ივერიის“ პროგრამისტი;
17. მაია თეთრუაშვილი - შპს - შიდა ქართლის საერო კოლეჯის დამფუძნებელი;
18. ნინო ჩიხლაძე - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;
19. ელენე გვენცაძე - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - საექთნო სკოლა - სასწავლო უნივერსიტეტ „ივერიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის ეროვნული სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - შიდა ქართლის საერო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის ეროვნული სასწავლო უნივერსიტეტისა და შპს - შიდა ქართლის საერო კოლეჯის წარმომადგენლების შუამდგომლობების საფუძველზე დღის წესრიგი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

1. შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის ეროვნული სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - შიდა ქართლის საერო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
3. შპს - საექთნო სკოლა - სასწავლო უნივერსიტეტ „ივერიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის ეროვნული სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

I. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს 2011 წლის 21 იანვარს მომართა დაინტერესებულმა მხარემ წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №03-401) და მოითხოვა ადმინისტრაციული საქმისწარმოების შეწყვეტა.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნო წერილის შინაარსი.

II. დაინტერესებული მხარის შუამდგომლობის გათვალისწინებით, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის ეროვნული სასწავლო უნივერსიტეტის საავტორიზაციო განაცხადის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

III. გადაწყვეტილება:

შეწყდეს შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის ეროვნული სასწავლო უნივერსიტეტის საავტორიზაციო განაცხადის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

2. შპს - შიდა ქართლის საერო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

I. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს 2011 წლის 20 იანვარს მომართა დაინტერესებულმა მხარემ წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №03-349) და მოითხოვა შიდა ქართლის საერო კოლეჯის ავტორიზაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმისწარმოების შეწყვეტა.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნო წერილის შინაარსი.

II. დაინტერესებული მხარის შუამდგომლო ბის გათვალისწინებით, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - შიდა ქართლის საერო კოლეჯის საავტორიზაციო განაცხადის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

III. გადაწყვეტილება:

შეწყდეს შპს - შიდა ქართლის საერო კოლეჯის საავტორიზაციო განაცხადის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. შპს - საექთნო სკოლა - სასწავლო უნივერსიტეტ „ივერიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

I. განხორციელებული პროცედურა

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომელს რევაზ ხოფერიას სთხოვა საავტორიზაციო ვიზიტთან დაკავშირებით მოხსენების გაკეთება. რევაზ ხოფერიამ დამსწრე პირებს გააცნო, რომ შპს - საექთნო სკოლა - სასწავლო უნივერსიტეტ „ივერია“, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, 2011 წლის 4 იანვარს მიმართა ცენტრს საავტორიზაციო განაცხადით და თანდართული დოკუმენტაციით (წერილი №546, ცენტრში რეგისტრაციის №03-42). კერძოდ, დაწესებულებამ წარმოადგინა თვითშეფასების შევსებული კითხვარი, შპს - საექთნო სკოლა-სასწავლო უნივერსიტეტი - „ივერია“ წესდება და ავტორიზაციის განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 4 იანვრის №04/ა ბრძანების საფუძველზე დაწესებულება ცნობილ იქნა ავტორიზაციის მაძიებლად და მისი ავტორიზაციის პრობებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორცილდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი (ჯგუფის წევრები: ნინო ჩიხლაძე, ელენე გვენცაძე, დავით მახვილაძე), შემოწმდა ავტორიზაციის მაძიებლის პრობების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, დავით მახვილაძემ, დეტალურად გააცნო საბჭოს წევრებს დასკვნაში აღნიშნული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელზეც არსებობდა შენიშვნები.

საბჭოს თავმჯდომარემ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის ოქმში სრულად ასახვის მიზნით ითხოვა სხდომის მდივნისათვის გადაეცათ ექსპერტთა დასკვნის ასლი.

II. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - საგანმანათლებლო პროგრამები

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)“.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

1.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ. კურიკულუმებს თან ერთვის შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები, გარდა პრაქტიკის სილაბუსებისა.

ზეპირ მოსმენაზე დავით მახვილამემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ხორციელდებოდა ორი დღის განმავლობაში. ვიზიტის ბოლო დღეს, როდესაც ექსპერტებმა დაამთავრეს სამუშაო დღე (დაახლოებით 22:30 ს აათი) და ტოვებდნენ დაწესებულებას, დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს გადასცეს პრაქტიკის სილაბუსები. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ პრაქტიკის სილაბუსების შესწავლა ვეღარ განხორციელდა.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დღეს დაწესებულებას ჰქონდა პრაქტიკის სილაბუსები. აღნიშნული სილაბუსები წარდგენილ იქნა ცენტრში ექსპერტთა ვიზიტის დასრულებიდან მე-2 დღესვე. ასევე დაწესებულებას შეუძლია ამ სილაბუსების საბჭოს სხდომაზე წარმოდგენა.

ავტორიზაციის საბჭოს წევრის, ლალი ლოღელიანის შეკითხვაზე, საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკა გათვალისწინებული იყო ცალკე, თუ რომელიმე საგნის შემადგენელი ნაწილი, ცენტრის თანამშრომელმა, ნათია ვაჭარამემ უპასუხა, რომ ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით მიხედვით განიხილება ცალკე, როგორც საექთნო პრაქტიკა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისი აზრით დასკვნაში დაფიქსირებულ აღნიშნულ შენიშვნასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია, სადაო საკითხი გადაწყდეს ავტორიზაციის მაძიებლის სასარებლოდ, რადგანაც ფაქტობრივად დასტურდება, რომ დაწესებულებას ექსპერტთა ვიზიტის დღისათვის ჰქონდა პრაქტიკის სილაბუსი. ამდენად, საბჭოს თავმჯდომარემ მიიჩნია, რომ დაწესებულების მიერ ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ წარმოდგენილი დოკუმენტი შემუშავებული იყო ექსპერტთა ვიზიტის დროს და არა მას შემდეგ. შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭო ვერ დაეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-11 პუნქტს და ვალდებულია შეაფასოს დაინტერესებული მხარის საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის სილაბუსები.

1.1.2 არც ერთ საგანმანათლებლო პროგრამაში და სილაბუსებში არ არის მითითებული საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობა.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში დამტკიცებულია შეფასების ინსტრუქცია, რომელიც ასევე განთავსებულია ვებგვერდზე. აღნიშნული ინსტრუქციით, რეგულირდება საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობის საკითხი.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აუცილებელი არაა აღნიშნული საკითხი დარეგულირდეს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამით და სილაბუსით. მნიშვნელოვანია არსებობდეს დოკუმენტი, რომლითაც ეს საკითხი მოწესრიგდება. ხოლო პროგრამა შეიძლება შეიცავდეს ბლანკეტურ დებულებას შიდასაუნივერსიტეტო ერთიან წესზე.

1.1.3 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სამაგისტრო პროგრამა „ჯანდაცვის მენეჯმენტი“ პროგრამის აღწერილობაში მითითებული შეფასების მეთოდები (ესსე, პრეზენტაციები, შემთხვევების ანალიზი) არ არის გამოყენებული პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსების სილაბუსებში;

ასევე, სასწავლო კურსის „ბიოეთიკა და სამედიცინო სამართალი“ სილაბუსში (სწავლების მეთოდებში) მითითებული სამეცნიერო ჟურნალები და ინტერნეტ მასალები არ არის მოცემული ლიტერატურის შესაბამის გრაფაში და სავალდებულო ლიტერატურად დასახელებულია მხოლოდ ბიოეთიკის სახელმძღვანელო.

ზეპირ მოსმენაზე გამოირკვა, რომ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამაში შეიტანა შეფასების მეთოდები. ხოლო დაინტერესებული მხარის მიერ მოწვეულმა სპეციალისტებმა, რომლებსაც უშუალოდ უნდა წაეკითხათ ლექციები კონკრეტულ დისციპლინებში, არ მიიჩნიეს საჭიროდ ზოგიერთი შეფასების მეთოდის მათ სილაბუსში ჩაწერა.

რაც შეეხება სასწავლო კურსს „ბიოეთიკა და სამედიცინო სამართალი“, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სილაბუსში მითითებულია ლიტერატურა და ვებგვერდის მისამართი, სადაც მოძიებული ინფორმაციით შესაძლებელია სილაბუსში მოცემული თემების შესწავლა.

1.1.4 დასკვნის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამაში (საბაკალავრო პროგრამა „საექონო საქმე“) და სილაბუსებში დაფიქსირებული ინფორმაცია სასწავლო კურსის სწავლების სემესტრთან დაკავშირებით გამოვლინდა გარკვეული უზუსტობები:

- სილაბუსი „პედიატრია“

პროგრამაში არის III კ. I სემესტრი, სილაბუსში IIIკ 6 სემესტრი

- სილაბუსი „ნევროლოგია და ნევროლოგიურ პაციენტთა მოვლა“

პროგრამაში არის III კ. II სემესტრი, სილაბუსში IIIკ I სემესტრი

- სილაბუსი „ფიზიკური რეაბილიტაცია და უნარშეზღუდულ პაციენტთა მოვლა“

პროგრამაში არის III კ. II სემესტრი, სილაბუსში IVკ I სემესტრი

- სილაბუსი „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“

პროგრამაში არის III კ. II სემესტრი, სილაბუსში IVკ VII სემესტრი

- სილაბუსი „გერიატრია და გერიატრიულ პაციენტთა მოვლა“

პროგრამაში არის IV კ. I სემესტრი, სილაბუსში IVკ II სემესტრი

- სილაბუსი „ლაბორატორიული კვლევები“

პროგრამაში არის IV კ. I სემესტრი, სილაბუსში Iკ II სემესტრი

- სილაბუსი „ფსიქიატრია და მენტალურ პაციენტთა მოვლა“

პროგრამაში არის III კ. II სემესტრი, სილაბუსში IIIკ I სემესტრი

ზეპირ მოსმენაზე გამოირკვა, რომ აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, რაც გამოწვეულია იმ ცხრილის ხარვეზით (word-ში შექმნილ ცხრილში გრაფების გადაცდომით), რომელშიც მოცემული დისციპლინების განაწილება სემესტრების მიხედვით .

1.1.5 არ არის ასახული პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების მეთოდები შემდეგ სილაბუსებში: „ნევროლოგია და ნევროლოგიურ პაციენტთა მოვლა“, „ფიზიკური რეაბილიტაცია და უნარშეზღუდულ პაციენტთა მოვლა“, „გერიატრია და გერიატრიულ პაციენტთა მოვლა“, „ფსიქიატრია და მენტალურ პაციენტთა მოვლა“.

ზეპირ მოსმენაზე ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ აღნიშნული შენიშვნა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება პროგრამის აკრედიტაციის ეტაპზე, ვინაიდან ერთია ცოდნის შეფასება და მეორე უნარ-ჩვევები. ავტორიზაციის ეტაპზე აღნიშნული საკითხი არ უნდა გახდეს საბჭოს მსჯელობის საგანი. აღნიშნულს დაეთანხმა ავტორიზაციის საბჭო.

1.1.6 სილაბუსი „საექთნო საქმე“ – პირველ სემესტრში გათვალისწინებული სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობაა: ანატომია, ფიზიოლოგია, ფარმაკოლოგია, თერაპია. თუმცა, ფიზიოლოგიის სწავლება ხორციელდება მე-2 სემესტრში, ფარმაკოლოგიის მე-4 სემესტრში. ხოლო „თერაპიის“ სახელწოდებით სასწავლო კურსი საერთოდ არ არის გათვალისწინებული პროგრამაში.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული წარმომადგენს ტექნიკურ ხარვეზს, რომელიც გამოსწორებულ იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დასრულებამდე, რაც დაადასტურა ექსპერტმა. აღნიშნული ვითარება საბჭომ დაინტერესებული პირის სასარგებლოდ გადაწყვიტა და მიიჩნია, რომ ხარვეზი აღმოფხვრილ იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დასრულებამდე.

1.1.7 დაწესებულებაში მიღევად რეჟიმში ხორციელდება შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები შემდეგი მიმართულებებით: ჯანდაცვა (მედიცინის ფაკულტეტი, სტომატოლოგიური ფაკულტეტი, ფარმაცევტული ფაკულტეტი), ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

1.1.8 ექსპერტთა დასკვნის თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	1.საექთნო საქმე 2.ფარმაცია	1. ბაკალავრი საექთნო საქმეში; 2. ფარმაციის ბაკალავრი.
მაგისტრატურა	1. ჯანდაცვის მენეჯმენტი	1. ჯანდაცვის ადმინისტრირების მაგისტრი
დოქტორანტურა	----	---
ერთსაფეხურიანი	----	----

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ“.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შედეგები აღწერილია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით და შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ დარგობრივ სტანდარტებს“.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა ვიზიტის დროს გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამები. საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შედეგები აღწერილია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით და შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები“.

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, საექთნო სკოლა-სასწავლო უნივერსიტეტ „ივერიაში“ დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც მოცემულია სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობას“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-17 მუხლის მიხედვით:

„XVII სტუდენტის მიერ სპეციალობის არჩევა და ჯგუფების დაკომპლექტება.

17.1. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამის არჩევანს. ეს ხორციელდება პროგრამების კატალოგის მეშვეობით ,რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე და ინახება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში;

17.2. ძირითადია მაპროფილებელი სპეციალობა, რომელშიც ენიჭება სტუდენტს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ძირითადი სპეციალობის კომპონენტებს ეთმობა მინიმუმ 120 კრედიტი.

17.3. დაწესებულება ასევე სტუდენტს სთავაზობს არჩევით დისციპლინებს; აღნიშნული დისციპლინები და ათვისებული კრედიტები დაფიქსირდება დიპლომის დანართში.

17.4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭირვალობის უზრუნველსაყოფად სტუდენტს საშუალება აქვს გაეცნოს საგანმანათლებლო პროგრამებს უნივერსიტეტში არსებული და უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის მეშვეობით.“

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი“.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-20 და 21-ე მუხლების მიხედვით:

„XX. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

20.1. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს სხვა პროგრამით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას, ხოლო ასეთი პროგრამის არარსებობის ან სტუდენტის მხრიდან წინააღმდეგობის შემთხვევაში უნივერსიტეტი არ აუქმებს პროგრამას;

20.2. ჯგუფში არაუმეტეს 5 სტუდენტის არსებობის შემთხვევაში განიხილება ჯგუფის გაუქმების საკითხი, უნივერსიტეტი აკადემიური საბჭო განიხილავს ჯგუფის არსებობის მიზანშეწონილობას, ითვალისწინებს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინადადებებს შესაბამისად პროგრამის პროფილის სპეციფიკისა და ფინანსურ საკითხებს. (დამამთავრებელი კურსის შემთხვევაში არაა აუცილებელი საკითხის გადახედვა;)

20.3. ჯგუფის გაუქმების გამო სხვა სპეციალობაზე გადასული სტუდენტი თავისუფალია პროგრამული თავსებადობის დასკვნის მიხედვით განსაზღვრული დამატებითი კრედიტების სწავლის გადასახადისგან.

20.4. თუ უნივერსიტეტში არ ხორციელდება გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე უნივერსიტეტი

აფორმებს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შეთანხმებას სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის აღიარების შესახებ და მიღებული გადაწყვეტილების აცნობებს სსიპ - განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს.

XXI საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა

21.1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში ფაკულტეტი სტუდენტს სთავაზობს ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება იმ კვალიფიკაციის მინიჭება, რაც მიიღწეოდა იმ სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ, რომელზეც განხორციელდა სტუდენტის ჩარიცხვა. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა მუშავდება სტუდენტის მონაწილეობით და გადაყვანა ხდება მისი თანხმობის საფუძველზე.“

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

7. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა, მკვლევართა ან მოწვეული პერსონალის მიერ“.

7.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამების განმხორციელებელი ადამიანური რესურსის პირადი საქმეები. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ.

7.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

8. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის

განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად”.

8.1 ავტორიზაციის ექსპერტა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დაწესებულებაში დამტკიცებულია სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, რომელშიც მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები.

8.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

III. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - მატერიალური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს, მათ შორის:

ა.ა) ერთ მისამართზე 700 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ა.ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, მათ შორის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები”.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობების შესწავლა ექსპერტთა მიერ განხორციელდა უნივერსიტეტის რექტორის მიერ წარმოდგენილი ამ შენობების ტექნიკური ნახაზების მიხედვით, რომლის საერთო ფართია 1280 კვ.მ., მათ შორის სასწავლო ფართის ოდენობა შეადგენს 738,62 კვ.მ-ს, ხოლო დამხმარე ფართი შეადგენს 363,38 კვ.მ-ს.

ამასთან აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას იჯარის ხელშეკრულებით მფლობელობაში აქვს აღნიშნულ შენობაში მხოლოდ 1102 კვ.მ. აღნიშნული ასევე დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერით.

სასწავლო უნივერსიტეტს საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად სხვადასხვა დაწესებულებებთან გაფორმებული აქვს მემორანდუმები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თ.ს.უ. კლინიკურ საავადმყოფოსთან და შპს - ჯი პი სი აფთიაქთან.

დაწესებულების მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა გამოიყენება უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრული მიზნების რეალიზაციისთვის და განსახორციელებელი საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამებისთვის.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1.	თბილისი, ზედაზენის ქ. N4	1102 კვ.მ.

დაწესებულების სასწავლო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1.	თბილისი, ზედაზენის ქ. N4	738,62 კვ.მ.

დაწესებულების დამხმარე ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1.	თბილისი, ზედაზენის ქ. N4	363,38კვ.მ.

სასწავლო აუდიტორიებში განთავსებულია სწავლების პროცესისათვის საჭირო ინვენტარი (მერხები, სკამები, დაფები). ასევე კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია ინტერნეტში ჩართული შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მქონე 7 კომპიუტერი და 2 ლეპტოპი, 2 პრინტერი.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1 ლეპტოპი, 1 ქსეროქსის აპარატი და 1 პრინტერი.

ადმინისტრაციის სარგებლობაშია 2 კომპიუტერი და ორი პრინტერი, ასევე ფაქსის აპარატი.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ როგორც უძრავი ქონების, ისე სხვა მატერიალური ბაზის ფლობის პრობლემა დაწესებულების წინაშე არ დგას, შესაბამისად დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები უზრუნველყოფს დაწესებულების მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას”.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტის წესდებაში გაწერილია უნივერსიტეტის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები; ასევე რექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სტრუქტურული ერთეულების დებულებები და საქმის წარმოების წესი, რომლითაც შესაძლებელია დაწესებულების მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელება.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები“.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ფართში არის ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა და სველი წერტილები. სასწავლო აუდიტორიები და დაწესებულებაში მომუშავე პერსონალის ოთახები თბება ელ.გამათბობელი საშუალებებით. ყველა სასწავლო აუდიტორიაში არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

- გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.”

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ შენობაში ორივე სართულზე არის განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა. შენობაში არის სამედიცინო კაბინეტი, რომელსაც ემსახურება მედდა. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებაში მუშაობს დაცვის თანამშრომელი

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის”.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის, შენობაში არის მოწყობილი პანდუსები, რომლის საშუალებით სტუდენტს შეუძლია შენობის მხოლოდ პირველ სართულზე გადაადგილება.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მატერიალური რესურსი, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის”.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია ინტერნეტში ჩართული შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მქონე 7 კომპიუტერი და 2 ლეპტოპი, 2 პრინტერი. ასევე, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1 ლეპტოპი, 1 ქსეროქსის აპარატი და 1 პრინტერი. აღნიშნული მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისათვის, ისე აკადემიური პერსონალისათვის.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

7. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში“.

7.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, დაწესებულების საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში და მართვაში გამოიყენება ინტერნეტი, ტელეფონები, ელექტრონული ფოსტა და ვებგვერდი (www.iveria.edu.ge).

7.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

8. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას, ასევე უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა“.

8.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ

ლიტერატურას, ასევე უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა.

ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ჯგუფის მიერ შერჩევით აღებულ იქნა სილაბუსები ყველა საგანმანათლებლო პროგრამებიდან. მათში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა მოძიებულ იქნა დაწესებულების ბიბლიოთეკაში.

დაწესებულებას 2011 წლის 4 იანვარს გაფორმებული აქვს N2011-1/2 ხელშეკრულება საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას ეძლევა უფლება მიიღოს და გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები:

1. EBSCOHost (<http://searchepnet.com>)
2. BioOne (www.bioone.org)

8.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

9. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში არსებობს ბიბლიოთეკის კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი“.

9.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დაწესებულებაში არსებობს ბიბლიოთეკის კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და აუცილებელი ინვენტარით, მათ შორის ინდივიდუალური განათებით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი.

9.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

10. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „კ“

ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა”.

10.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტს დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ინსტრუქცია, რომლითაც განისაზღვრება უნივერსიტეტის საქმიანობის პროცესში შექმნილი აქტების, საგანმანათლებლო დოკუმენტების, კორესპონდენციისა და სხვა დოკუმენტაციის აღრიცხვის წესი.

10.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

11. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „ლ” ქვეპუნქტის თანახმად, „ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი”.

11.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტის ვებგვერდის მისამართია www.iveria.edu.ge. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მისი ენა არის ქართული და ინგლისური. მასზე განთავსებულია სტანდარტით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცია. ვებგვერდის ბოლო განახლების თარიღია 2011 წლის 6 იანვარი.

11.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

12. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „მ”

ქვეპუნქტის თანახმად, „უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევების დაფინანსება“.

12.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, დაწესებულების ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევების დაფინანსება.

12.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ვინაიდან დაწესებულება არის სასწავლო უნივერსიტეტი, დაწესებულება არ არღვევს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

13. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს“.

13.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომლებიც დამტკიცებულია, დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2011 წლის 4 იანვრის N1 სხდომის ოქმით.

13.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

IV. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - ადამიანური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის,

მკვლევართა და მასწავლებელთა კვალიფიკაცია შესაბამემა დაკავებულ თანამდებობას”, ხოლო „ბ” ქვეპუნქტის თანახმად, „ავტორიზაციის მიზნებისთვის ერთი სრული პროფესორი ეთვლება მხოლოდ ერთ უნივერსიტეტს, მხოლოდ ორ სასწავლო უნივერსიტეტს, ან მხოლოდ ორ კოლეჯს, ან სასწავლო უნივერსიტეტსა და კოლეჯს, პროფესორის არჩევით; ხოლო ასოცირებული პროფესორი ეთვლება მხოლოდ ორ დაწესებულებას პროფესორის არჩევით. სრული ან ასოცირებული პროფესორის მიერ ორ ან მეტ დაწესებულებაში სრული ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დაკავება მოწმდება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემების შესაბამისად”.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დაწესებულებას ჰყავს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი კვალიფიკაციის 13 მოწვეული პერსონალი. ასევე აკადემიური თანამდებობა უკავია შესაბამისი კვალიფიკაციის 30 პროფესორს, აქედან 7 სრული, 23 ასოცირებული პროფესორი.

დაკავებულ თანამდებობასთან კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, გადამოწმდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-11 მუხლის „გ-გ” ქვეპუნქტის თანახმად, „უნივერსიტეტში - არა უმეტეს 11 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 50 სტუდენტზე, 12-იდან 24 საგანმანათლებლო პროგრამამდე განხორციელების შემთხვევაში - მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 60 სტუდენტზე, 24 და მეტი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში - მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 70 სტუდენტზე, არანაკლებ 25 სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორისა”.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, დაწესებულებას ჰყავს - 26 სტუდენტი.

დაწესებულებას ყავს 30 აკადემიური პერსონალი. აქედან, 7 სრული, 23 ასოცირებული.

დაწესებულების სტუდენტების რაოდენობა: **26**

დაწესებულების აკადემიური პერსონალის რაოდენობა:

აკადემიური პერსონალი	რაოდენობა
სრული პროფესორი	7
ასოცირებული პროფესორი	23
ასისტენტ-პროფესორი	---

დაწესებულების სტუდენტების რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით:

საგანმანათლებლო პროგრამა	რაოდენობა
საბაკალავრო პროგრამა	13
სამაგისტრო პროგრამა	---
სადოქტორო პროგრამა	---
ერთსაფეხურიანი	13
სხვა	---

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-11 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საგანმანათლებლო პროგრამა არ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოწვეული პერსონალის, მკვლევარების ან მასწავლებლების მიერ“.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში არცერთი საგანმანათლებლო პროგრამა არ ხორციელდება მხოლოდ მოწვეული პერსონალის, მკვლევარების ან მასწავლებლების მიერ. ყველა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალი.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-11 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად“.

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში აკადემიური პერსონალის შერჩევა განხორციელებულია კანონმდებლობის და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. აკადემიური პერსონალის შერჩევის მიზნით ჩატარებული კონკურსი შეესაბამება „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. კერძოდ, დაცულია კონკურსის ჩატარების თარიღისა და პირობების გამოქვეყნების, ასევე კონკურსის ჩატარების ვადები.

2009 წლის პირველ აპრილს გამოცხადდა კონკურსის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად. დოკუმენტაციის მიღება ვაკანკტური თანამდებობის დასაკავებლად დაიწყო 2009 წლის პირველ მაისს და კონკურსი ჩატარდა 2009 წლის პირველ ივნისს.

ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ განთავსდა დაწესებულების ვებგვერდზე.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-11 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, მკვლევრებთან და მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეული პერსონალთან და მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

V. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საექთნო სკოლა-სასწავლო უნივერსიტეტი „ივერიის“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭების საკითხი და სტუდენტთა რაოდენობის 246-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

VI. გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - საექთნო სკოლა-სასწავლო უნივერსიტეტი „ივერიას“ მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და განესაზღვროს სტუდენტთა რაოდენობა 246-ით.

თავმჯდომარე
კახი ყურაშვილი

მდივანი
გაიანე სიმონია

